

ჩვენი გიმნაზია



სტეფანწმინდისა და ხევის ეპარქიის და წმ. ილია მართლის სახელობის გიმნაზიის ყოველთვიური გაზეთი №1 იანვარი 2015 წ.

გაზეთი გამოდის გიმნაზიის დირექტორის სტეფანწმინდისა და ხევის მთავარეპისკოპოს იეგუდიელის ლოცვა-კურთხევით.

ქრისტეს შობა

ხარების დროს მთავარანგელოზმა აუწყა მარიამს, რომ შენი ნათესავი ელისაბედი უშვილო იყოო, მაგრამ ექვსი თვეა, რაც უკვე შვილი ჩაესახაო. ამიტომ მაიამი, ხარებობის შემდეგ, ელისაბედის სანახავად წავიდა და იქ სამი თვე დარჩა. შემდეგ ისევ ნაზარეთში დაბრუნდა და იოსებთან ცხოვრობდა.

როცა ქრისტეს შობის დრო მოახლოვდა, მაშინ რომის კეისარმა ოკტავიმ, რომელსაც მაშინ ებრაელები ემორჩილებოდნენ, ბრძანება გამოსცა, რომ ყველა მისი ქვეშევრდომი წასულიყო იმ ადგილას, სადაც შთამომავლობით იყვნენ და იქ ჩაწერილიყვნენ სიაში.

იოსები და მარიამი ამ მიზეზის გამო წავიდნენ ბეთლემის ქალაქში. როცა იქ მივიდნენ, სადგომი ვერ იშოვეს, რადგანაც ბევრი ხალხი შეკრებილიყო. ამიტომ ისინი ქალაქგარეთ გავიდნენ და ერთ გამოქვაბულ კლდეში დაბინავდნენ, რომელიც მწყემსებს ეკუთვნოდათ. მწყემსები იმ დამეს მინდვრად იყვნენ, რადგანაც კარგი ამინდი იყო. იმ გამოქვაბულში დაიბადა იმ დამეს მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე. ღვთისმშობელმა გაახვია იგი და ბაგაში მიაწვინა, რადგანაც სხვა ადგილი არ ჰქონდა.

როცა იესო ქრისტე დაიბადა, ზეციდან მწყემსებს ანგელოზების გალობა მოესმათ და შეშინდნენ. მაგრამ მათ ერთი ანგელოზი გამოეცხადათ და ახარა მაცხოვრის დაბადება. ისინი მაშინვე წავიდნენ გამოქვაბულში, ნახეს ქრისტე ბაგაში მწოლარე და თაყვანი სცეს.

19 იანვარი — ნათლისღება უფლისა და მაცხოვრის ჩვენისა იესო ქრისტესი — ღვთის განცხადება

ყოველი წლის 19 იანვარს წმინდა ეკლესია ზეიმობს ნათლისღებას — წმინდა იოანე ნათლისმეცემლის მიერ ქრისტეს მონათვლას.

იოანე ნათლისმცემელმა ხალხს სინანულის ნათლისღებისკენ მოუწოდა. „შეინანეთ, რამეთუ მოახლებულ არს სასუფეველი ცათა“, — ქადაგებდა იგი. მასთან მისული ხალხი აღიარებდა ცოდვებს და წყლით იწმინდებოდა. მაგრამ ამ ნათლობას არ ჰქონდა ცოდვათა მიტევების ძალა, ის თავისი მადლითა და შინაარსით იუდეურ და ქრისტიანულ ნათლობებს შორის იდგა.

ხალხში იმდენად დიდი იყო წმინდა იოანეს ავტორიტეტი, რომ ბევრი მას მესიად თვლიდა, იოანე კი ყველას ეუბნებოდა, რომ ის არ იყო მესია: „მე უკუე ნათელს-გცემ თქუენ წყლითა სინანულად, ხოლო რომელი შემდგომად ჩემსა მოვალს, უძლიერეს ჩემსა არს, რომლისა ვერ შემძლებელ არს ჯამლთა მისთა ტჯრთვად, მან ნათელ-გცეს თქუენ სულითა წმიდითა და ცეცხლითა“. წმინდა იოანე ოქროპირის თქმით, ეს იყო ხალხის მესიასთან შესახვედრად მომზადების საუკეთესო ფორმა. იოანემ აღასრულა ესაიას წინასწარმეტყველება — განმზადნა გზანი უფლისანი.

ხალხმა გაიგო, რომ შემდგომად იოანესა მესია მოვალს და ყველა ელოდებოდა მხსნელის გამოჩენას. მაშინ მოვიდა იესუ გალილეათ იორდანედ იოვანესა ნათლის-ღებად მისგან“. იოანე, რომელიც ყველას სინანულისაკენ მოუწოდებდა, შეკრთა. ღვთის განგებით, მან იცნო მესია და აღარ იცოდა, რა ეთქვა მისთვის. „მე მიჴმს შენ მიერ ნათლის-ღებაი და შენ ჩემდა მოხუალ?“ — შიშით ჰკითხა მასთან მისულ ღმერთ-კაცს შეძრწუნებულმა იოანემ. „აცადე აწ, რამეთუ ესრეთ შუენის ჩუენდა აღსრულებად ყოელი სიმართლე“, — ბრძანა მაცხოვარმა. წმინდა იოანე ოქროპირი ამ ადგილის განმარტებისას ამბობს, რომ სიმართლის აღსრულება არის მცნებების დაცვა, და რაკი გაცობრიობამ მცნებები ვერ შეასრულა, თვით უფალი მოვიდა „აღსრულებად ყოელი სიმართლისა“. ქრისტემ „იორდანეს შინა ნათლისღებაი თავს იდვა ჩუენისა ცხოვრებისათვის“.

ნათლისღება განცხადებადაც იწოდება, რადგანაც ამ დღეს საქვეყნოდ გამოჩნდა ქრისტეს ღვთაებრიობა და განცხადდა წმინდა სამება. წყლიდან ამოსულ ქრისტეს ზემოდან მამის ხმა ეწამებოდა და საყვარელ ძედ სახელდებდა მას. მამის ხმას სული წმიდა დაამტკიცებდა, რომელიც მტრედის სახით ადგა თავს იესოს.

27 იანვარი — წმინდა დედა ჩვენი ნინო, მოციქულთასწორი, ქართველა განმანათლებელი



კაბადოკიელი ქალწული წმიდა ნინო დიდმოწამე გიორგის ახლო ნათესავად ეკუთვნოდა. იგი სახელგანთქმული პატიოსანი მშობლების, რომის მხედართმთავრის ზაბულონის და იერუსალიმის პატრიარქის, იუბენადის დის, სოსანას ერთადერთი ასული იყო.

როდესაც ნინოს თორმეტი წელი შეუსრულდა, მშობლებმა ყველაფერი გაყიდეს და იერუსალიმში გადასახლდნენ. წმიდა ქალაქში მისვლის შემდეგ ნინოს მამამ, ზაბულონმა ბერად აღკვეცა გადაწყვიტა, ხოლო დედა პატრიარქმა იუბენალმა დიაკონაისად აკურთხა, ნინო კი აღსაზრდელად მოხუც ქალს, სარა ნიაფორს მიაბარეს. აღმზრდელი ქრისტიანულად ზრდიდა ნინოს, უამბობდა მაცხოვრის მიწიერი ცხოვრებისა და წამების ამბავს, სარასაგან გაიგო ნინომ ისიც, თუ როგორ მოხვდა ქრისტეს კვართი საქართველოში.

გთხოვთ, გაუფრთხილდეთ გაზეთს მასში დაბეჭდილი ტექსტის და ფოტომასალის გამო.

წმიდა ნინო გულმხურვალედ ევედრებოდა ყოვლად წმიდა ღვთისმშობელს, რომ საქართველოს ნახვისა და იმ პერანგის თაყვანისცემის ღირსი გაეხადა, რომელიც თავად ღვთისმშობელმა მოუქსოვა საყვარელ შვილს. ყოვლადწმიდა ქალწულმა შეისმინა მისი ვედრება, სიზმარში გამოეცხადა და უთხრა: „წადი ჩემს წილხვედრ საქართველოში, იქადაგე იქ სახარება უფლისა იესო ქრისტესი, მოიპოვებ მისგან მადლს და მე ვიქნები შენი მფარველი“. ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმა ვაზის ჯვარი მისცა ნინოს და უთხრა: „მიიღე ჯვარი ესე ფარად და მფარველად ხილულთა და უხილავთა მტერთა ზედა“. გამოღვიძებულ ნინოს მართლაც ჯვარი ეჭირა ხელში. მან სიხარულის ცრემლებით დაალტო და საკუთარი თმებით შეკრა იგი...

წმიდა ნინო საქართველოსაკენ წამოვიდა. საშინელი სანახაობა დახვდა იქ წმინდანს: მეფე, მთავარნი და ყოველი ერი შიშით ძრწოდა კერპთა წინაშე.

შეწუხდა ქალწული: „უფალო, მოხედენ წყალობით ამათ ზედა ნათესავთა, რათა ყოველმან ერმან მხოლოდ ღმერთსა თაყვანი გცენ იესოს მიერ ძისა შენისა“, — შეპღაღადა მან ღმერთს. დაპბერა საშინელმა ქარმა, წამოვიდა სეტყვა და შეიმუსრა კერპები. შეშინებული ხალხი სხვადასხვა მხარეს გაიფანტა.

წმიდა ნინო სამეფო ბაღის მცველის სახლში დასახლდა, უშვილო ოჯახს წმიდა ნინოს ლოცვით ღმერთმა მიპმადლა შვილი. გახარებულმა ცოლ-ქმარმა აღიარა ქრისტე და დაემოწაფა წმიდანს. ერთხელ ნანა დედოფალი სასიკვიდლოდ დასნეულდა, წმიდა ნინომ ილოცა, ჯვარი გადასახა და განკურნა დედოფალი. ამის შემდეგ ნანამ აღიარა ქრისტე.

ერთხელ მეფე მირიანი სანადიროდ წავიდა. მას გადაწყვეტილი ჰქონდა მცხეთაში დაბრუნებისთანავე ამოეწყვიტა ჯვარცმული მოსავნი, მათ შორის ნანა დედოფალიც. ნადირობისას მოულოდნელად მზე დაბნელდა. მარტოდ დარჩენილი მირიან მეფე დიდხანს უხმობდა შემწედ კერპებს. როცა იმედი გადაუწყდა, ქრიტეს შეევედრა: „ღმერთო ნინოსაო, განმინათლე ღამე ესე და მაჩვენე საყოფელი ჩემი და აღვიარო სახელი შენი, აღვმართო ძელი ჯუარისა და თაყვანის-ვცე მას, აღვაშენო სახლი სალოცველად ჩემდა და ვიყო მორჩილი ნინოს სჯულისა ზედა ჰრომთასა“. მაშინვე გამობრწყინდა მზე. გახარებულმა მირიან მეფემ მადლობა შესწირა ქვეყნიერების შემოქმედს. წმიდა მოციქულთასწორის ღვაწლით საქართველოში განმტკიცდა ქრისტიანობა.

წმიდანის სურვილისამებრ მისი პატიოსანი გვამი ბოდბეში დაფლეს. შემდგომ მის საფლავზე მირიან მეფემ წმიდა გიორგის სახელობის ტაძარი ააგო.

სტეფანწმინდისა და ხევის ეპარქიის მრევლი ულოცავს მეუფე იეგუდიელს დაბადების დღეს. უსურვებს ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს. ხევის სულიერებისათვის ძალიან საჭირო ხართ, მეუფეო.

წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზია-პანსიონის პედკოლექტივი და თანამშრომლები დაბადების დღეს ულოცავენ ხევისა და სტეფანწმინდის ეპარქიის მაღალყოვლადუსამღვდელოეს მეუფე იეგუდიელს.

გიმნაზიის IV კლასის მოსწავლე ნინო ქირიკაშვილი ულოცავს მეუფე იეგუდიელს დაბადების დღეს:

მიხარია, რომ შესაძლებლობა მაქვს „ჩემი გიმნაზიის“ საშუალებით დაბადების დღე მივულოცო ჩემს მეუფეს, მაღალყოვლადუსამღვდელოეს იეგუდიელს, დიდხანს იცოცხლეთ ჩვენს გასახარად, წმინდა სამებამ დაგიფაროს და კიდევ უფრო გაგაძლიეროს.

აგყვავებოდეთ სამწყსო

(მოკრძალებულ მიძღვნად უწმინდესსა და უნეტარესს, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია II-ს)

როგორ გავბედო, როგორ გაკადროთ თქვენი სმენისმიპყრობა მე, უღირსმა და ცოდვილმა.

ვმადლობთ უფალს თქვენი მოვლენისათვის ამ საწუთროში და შევსთხოვთ თქვენს ხანგრძლივ სიცოცხლეს ჯანმრთელობით, რამეთუ თქვენი ღვაწლით შეძლებს საქართველო გადარჩენას.

მყინვარზე შუქი ნათლის
უფლის ტახტივით მოჩანს,
და ღღევანდელი ხევი
გისმენთ ხევისბერ გოჩას...

სულის მალამოს იღებს,
წარმოთქმულს თქვენი ბაგით
და მსუბუქდება გულში
ცოდვების მძიმე ბარგი...

ღვთიურ ღიმილით ქარგავ
ყველა მოხევის კერას,
ღღეს ყველა ქართველს თქვენი
ლოცვა-კურთხევის სჯერა!

ვიცით მოყვება სიბრძნე
სიტყვას ბაგეზე მომდგარს,
მუხლს გიყრით თქვენი ხევი,
ერის საყვარელ მოძღვარს!“

დიდხანს ცოცხლობდეს შუბლი,
სახე, ნაკმევი ნათლით,
ნუ მოგვკლებოდეს თქვენი
ლოცვა-კურთხევის მადლი!

გაგიმთლიანდეთ ერი
და გაეტანოს ლელო,
აგყვავებოდეთ სამწყსო, —
ეს ჩვენი საქართველო.

ციცინო ღუდუშაური
გიმნაზია-პანსიონის პედაგოგი

წმ. ილია მართლის სახელობის გიმნაზია-პანსიონი, რაიონის მოსახლეობა დაბადების დღეს ულოცავს უწმინდესსა და უნეტარესს საქართველოს კათოლიკოს პატრიარქს ილია მეორეს. უსურვებს ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს.

წმიდა ექვთიმე ღვთისკაცი, ცათამობაძავი ივერიის მეჩურჩლეთუხუცესი.

2002 წლის 17 ოქტომბერს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდმა წმიდანად შერაცხა ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე და მეცნიერი ექვთიმე თაყაიშვილი და მას სახელად წმიდა ექვთიმე ღვთისკაცი უწოდა. განუზომელია ამ ადამიანის ღვაწლი ქართველი ერისა და ღვთის წინაშე. მის სახელს უკავშირდება არა მარტო თავდადებული სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობა, არამედ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სიწმინდეების, ჩვენი საგანძურის გადარჩენა.

„სულ იმას ვშიშობდი ყოველ ნაბიჯზე, აი, ეს არ დაიკარგოს, აი, ეს არ წახდეს მეთქი“.

ახალი წლის მილოცვები:

წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზიის თანამშრომლები მადლობას უხდიან ტელეწამყვან ნანუკა ჟორჟოლიანს, რომელმაც ხევის მკვიდრს ვანო წიკლაურს აღმოუჩინა დროული დახმარება და M²-ის უშუალო ჩარევით საცხოვრებელი ბინა აჩუქა მას თბილისში.

ახალ წელს ვულოცავ ჩემს დედიკოს, მამიკოს, პაპას, ჩემს დას, ძმას. კიდევ იცით ვის მინდა მივულოცო? — ჩემს მასწავლებელს ნინო ღუდუშაურს, რომელმაც ანბანი შემასწავლა. რას ვისურვებდი? მინდა ყველა ბავშვი იყოს ბედნიერი.

ლუკა სუჯაშვილი, I კლასი

2015

გილოცავთ შობა-ახალ წელს!

შემოაბიჯა ახალმა წელმა. ქრისტეშობიდან 2015 წელს მარცვლავს კრიალოსანი დედამიწის მატიანესი.

2015 ახალმა წელმა ჩამოთოვა ქართლის მთებსა და მხრებზე. 2015 წელია მტერ-მოყვარეს ერკინებოდა ქართველი ერი... იფურცლებოდა ქართლის მატიანე უქარქაშო ხმლებითა და მამულ-რჯულისათვის ჯვარცმული ზვარაკებით... და გადიოდა საუკუნეები.

შემოაბიჯა ახალმა 2015 წელმა. ტყის ზღაპარივით ლამაზი და ჯადოსნური ყოფილიყოს მისი მობრძანება დედამიწაზე.

შობა-ახალ წელს ვულოცავთ უწმინდესისა და უნეტარესს, საქართველოს კათოლიკოს პატრიარქს ილია II, სტეფანწმინდისა და ხევის ეპარქიის ეპისკოპოსს მეუფე იეგუდიელს, ხევის სულიერ მამებს, გიმნაზიის მასწავლებლებს, მოსწავლეებს, ყველას, ვისაც მამულისა და სჯულის სიყვარულით აქვს გული სავსე.

ჩვენი გიმნაზია ერთ-ერთი მოწინავეა მთელს რაიონში. მის გამოცდილ პედკოლექტივს წლების მანძილზე ხელმძღვანელობს ხევის ეპისკოპოსი მეუფე იეგუდიელი და გამოცდილი მასწავლებელი — სასწავლო ნაწილის გამგე ნატა თექთურმანიძე.

ჩვენი ცხოვრების წესად არის ქცეული შესანიშნავი ღონისძიებები, რომლებიც მრავლად ტარდება გიმნაზიაში. მაგრამ 30 დეკემბერს ჩატარებულმა ღონისძიებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

ამ ღონისძიების სულისჩამდგმელები იყვნენ გიმნაზიის დირექცია, კლასგარეშე ორგანიზატორი ეთერ პაპიაშვილი, გალობის მასწავლებელი ფიქრია ხაიკაშვილი და კლასის დამრიგებლები.

ისმოდა სიმშვიდის მომგვრელი გალობა და სიმღერები. ჩვენთან ერთად ხარობდნენ მოწვეული სტუმრები. დიდხანს ისმოდა გიმნაზიის საკონცერტო დარბაზში ნიჭიერი ბავშვების სიმღერები, ლექსები და საახალწლო სახუმარო სკეტჩებით გამოწვეული მხიარული ხმები.

ბოლოს, მეუფე იეგუდიელმა ბავშვებს მიულოცა ახალი წელი, დალოცა ბავშვები, მთელი ხევი და საქართველო.

კონცერტის შემდეგ კი ბავშვები კიდევ უფრო გაახარა საახალწლო საჩუქრებმა. ბავშვები გახარებულები დაბრუნდნენ სახლებში.

ღმერთო, ამრავლე ქართული გენი, მიეცი ძალა მის ნიჭიერ ხალხს თვითმყოფადობის გზაზე მავალს, დაე, იარონ... იარონ...

პედაგოგიური საბჭოს სხდომა წმ. ილია მართლის სახელობის გიმნაზია-პანსიონში

29 დეკემბერს ჩატარდა გიმნაზია-პანსიონის პედაგოგიური საბჭოს სხდომა. სხდომა გახსნა დირექტორის მოადგილემ — სასწავლო-საალმზრდელო დარგში ნატა თექთურმანიძემ. მან დამსწრე პედკოლექტივს მიულოცა ახალი წელი, უსურვა ჯანმრთელობა და წარმატება.

დამთავრდა სასწავლო წლის I სემესტრი, — აღნიშნა მომხსენებელმა. განვლილი დროის პერიოდში გიმნაზიის მოსწავლეებმა პედკოლექტივის დახმარებით მიაღწიეს ბევრ წარმატებებს. მონაწილეობას ვღებულობდით არა მარტო შიგა სასკოლო და სარაიონო ღონისძიებებში, არამედ წარმატება მოვიპოვეთ რესპუბლიკის მასშტაბითაც, რაზედაც მადლობა მინდა გადავუხადო ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებელს ნაზი ჩოფიკაშვილს ბავშვების მაღალ დონეზე მომზადებისათვის ევროკავშირის პროექტში მონაწილეობისას, სადაც ჩვენმა მოსწავლეებმა გაიმარჯვეს არა მარტო რაიონში, არამედ მნიშვნელოვანი ადგილები დაიკავეს საქართველოს მასშტაბითაც.

ბავშვებთან ერთობლივი მუშაობის შედეგად საინტერესო ნამუშევარი შექმნა ხელოვნებისა და რელიგიის მასწავლებელმა ციცია ფირანიშვილმა კონკურსისათვის „გავუფრთხილდეთ ბუნებას“, გამოუყენებელი მაკულატურისაგან გააკეთეს საახალწლო ნაძვის ხე.

სამოქალაქო ცოდნის გამოვლინების კონკურსში კი გაიმარჯვა და სერთიფიკატითა და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდა XII კლასის მოსწავლე ნანუკა ფიცხელაური.

ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა მაკა ქათარაშვილმა შესანიშნავი ღონისძიება ჩაატარა სახელწოდებით „გიორგობა“. გასვლითი ღონისძიებებით დათვალიერებული და შესწავლილი იქნა ხევში არსებული წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიები. ბავშვები ესაუბრნენ ხევის უხუცესებს.

ბავშვებში კითხვის ჩვეულების ჩამოსაყალიბებად პედაგოგის ციცინო ღუდუშაურის მიერ ხორციელდება პროექტი „მე მიყვარს კითხვა“.

რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ ჩვენი უპირველესი ამოცანაა ბავშვებისათვის კარგი განათლების მიცემა. მაღალი ღონის საერთო განათლებასთან ერთად უნდა შევძლოთ ბავშვების აღზრდა ქრისტიანულ ფასეულობებზე.

სხდომაზე გამოსულმა კლასის დამრიგებლებმა და მასწავლებლებმა დაახასიათეს თითოეული კლასი პირველი კლასიდან XII კლასის ჩათვლით, იმსჯელეს წარმატებებსა და ნაკლოვანებებზე. დასახეს მიზნები II სემესტრისათვის, რათა უკეთესად წარმართონ სწავლების პროცესი. აღინიშნა, რომ გიმნაზია-პანსიონში თავისი წარჩინებული სწავლითა და მოსწრებით გამოირჩევიან შემდეგი მოსწავლეები: თამარ ქუშაშვილი, ანა კაზალიკაშვილი, ლუკა მაისურაძე, მარიამ სუჯაშვილი, გიორგი ბუწუკური, დათო ღუდუშაური, ელენე ხეთაგური, ნინო ვალიშვილი, მარიამ ჯამარჯაშვილი და ნინო ქუშაშვილი. ის მოსწავლეები კი, რომლებიც ხშირად აცდენდნენ გაკვეთილებს, ჩააბარეს II სემესტრში გადასასვლელი გამოცდები.

პედსაბჭოს სხდომაზე გიმნაზიის დირექტორმა, მეუფე იეგუდიელმა აღნიშნა, რომ ჩვენ არ ვიყენებთ ყველა შესაძლებლობასა და რეზერვს ბავშვების განვითარებისათვის.

გამოდის, რომ ამდენად ჩვენ პატივს არ ვცემთ ჩვენს შესაძლებლობებს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სულიერებას. უწმინდესი და უნეტარესი საქართველოს პატრიარქი ილია II ჩვენგან მოითხოვს ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლინებას, რათა შემდგომში ხელი შევუწყოთ მათ განვითარებას. ჩვენ რაიონში ბიზნესმენები არ დებენ ინვესტიციებს თუნდაც იმიტომ, რომ არ გვყავს აღგილობრივი სპეციალისტები სხვადასხვა დარგში. ჩამოყვანილი სპეციალისტი კი ინვესტორს ძვირი უჯდება. პედაგოგის ვალია გამოვავლინოთ და დავეხმაროთ ასეთ ახალგაზრდებს. ჩვენი გიმნაზიის ნაკლად ვთვლი იმას, რომ სათანადოდ არ მიმდი-

ნარეობს წრეობრივი მუშაობა. გვქონდა 6-7 წრე, მაგრამ დღესდღეობით მხოლოდ ერთი, გალობის წრე ფუნქციონირებს. მინდა, რომ მოიძიოთ სპეციალისტები წრეობრივი მუშაობისათვის. ყველა პირობა გვაქვს იმისთვის, რომ მაღალ დონეზე იმუშაოს ჭიდაობის წრემ. გიმნაზიის დირექტორმა, მეუფე იეგუდიელმა დაავალა სასწავლო ნაწილის გამგეს, ნატა თექთურმანიძეს, რომ მეორე სემესტრში განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს კათედრების მაღალ დონეზე მუშაობას.

არქიმანდრიტმა მამა ნიკოლოზმა აღნიშნა, რომ გიმნაზიაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიეცეს სულიერებას, არის შემთხვევები, რომ პედაგოგები და მოსწავლეები ყოველთვის არ ესწრებიან წირვა-ლოცვას.

ქართული ენის მასწავლებელმა ციცინო ღუდუშაურმა აღნიშნა, რომ მშობელი განსაკუთრებით უნდა მოდვაწეობდეს გიმნაზიის ცხოვრებაში, შვილთან ერთად უნდა ესწრებოდეს წირვა-ლოცვას. თუ არა და მშობელი დაბარებული უნდა იქნეს გიმნაზიის ადმინისტრაციაში და მოთხოვონ შვილის გაყვანა გიმნაზიიდან, ამ საკითხზე ვრცლად იქნა საუბარი საპატრიარქოს განათლების ცენტრის მიერ ჩატარებულ კონფერენციაზე, რომელსაც უძღვებოდა მიტროპოლიტი იოანე. ხშირად უნდა ტარდებოდეს მშობელთა კრებები და დაიგეგმოს ოჯახებში მისვლაც.

ინტერესი დიდია ჩვენი გიმნაზიისადმი და ჩვენ უნდა გავამართლოთ ჩვენზე დაკისრებული დიდი მოვალეობები.

ნატა თექთურმანიძე

1848 წლის 8 იანვარს დაიბადა ალექსანდრე ყაზბეგი. „ორჯერ დაბადებულს ერთი სიკვდილი ვერას უზამს. ყაზბეგი კი მეორედ მაშინ დაიბადა, როდესაც თავისი ნიჭიერი კალამი უძღვნა ქვეყანას. დაიბადა ისე, რომ მისი აკვანი ყოველი ქართველის გულში ირწეოდა და ასეთ აკვანში გამოზრდილს ადმიანს კი სიკვდილი ხელს ვერ შეახებს.“

ორი მწვერვალი

კარკუჩის წისქვილებიდან
ქარმა ნისლები აჰყარა,
გადაიარა სნოს ხევი,
მაყრიონს მისდევს მაყრადა.

მღერიან მოხევეები,
ონისეა თუ მაყვალა,
იმათ გზას, ტანჯვას, სიხარულს
მზემ სხივი გადააყარა.

და ყაზბეგიანთ გორიდან
ერსახელ გადამყივარი —
დგას დათოვლილი ორი მთა,
ალექსანდრე და მყინვარი...

ალექსანდრე გომიაშვილი

მრავალ ახალ წელს

30 დეკემბერს საახალწლო ზეიმზე გიმნაზია-პანსიონის დირექტორის მოადგილემ საორგანიზაციო საკითხებში, ეთერ პაპიაშვილმა, გიმნაზიის პედაგოგ-მასწავლებლებსა და მოსწავლეებს მიულოცა ახალი წელი. უსურვა წარმატებები და წინსვლა.

ჩვენს გიმნაზიაში I სემესტრის განმავლობაში სერიოზული წარმატებები გვქონდა, — აღნიშნა ეთერ პაპიაშვილმა. გიმნაზიის მასწავლებლებისა და მოსწავლეების ერთობლივი მუშაობითა და მეუფე იეგუდიელის დახმარებით განხორციელდა მრავალი პროექტი.

სასკოლო ოლიმპიადაში ჩვენი ბავშვები გადავიდნენ მეორე ტურში. ვუსურვებთ მათ შემდგომ წარმატებებს.

22 ნოემბერს საქართველოს მასშტაბით განხორციელებულ ოლიმპიადაში, სამოქალაქო განათლების დონის გამოვლინებაში კი გაიმარჯვა XII კლასის მოსწავლემ ნანუკა ფიცხელაურმა. ხელოვნებისა და რელიგიის მასწავლებელმა ცისია ფირანიშვილმა მოსწავლეებთან ერთად საქართველოს მასშტაბით გამოცხადებულ კონკურსში „გადავარჩინოთ ბუნება“ გამოუყვენებელი მაკულატურით შექმნა ლამაზი ნაძვის ხე.

ზოგადი განათლების სისტემაში მიმდინარე ევროკავშირის პროექტში სახელწოდებით Le-MAHT ვუერთდებით ევროპას“ გიმნაზიის ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებელმა ნახი ჩოფიკაშვილმა მოსწავლეებთან ერთად სერიოზულ წარმატებას მიაღწია. კონკურსში წარმოდგენილ ოთხივე ნომინაციაში გიმნაზიის მოსწავლეები რაიონის მასშტაბით პირველ ადგილზე გავიდნენ და საქართველოს მასშტაბით შეეჯიბრა ათეულში, ხოლო მეათე კლასის მიერ წარმოდგენილი ნომინაცია „მათემატიკური ფიგურების“ წარმოჩენაში ჩვენი გიმნაზია საქართველოს მასშტაბით მოიაზრება მესამე ადგილზე.

სასიხარულოა ის ფაქტი, რომ გიმნაზია აქტიურად მონაწილეობს სპორტულ შეჯიბრებებში. ჩატარდა სარაიონო შეჯიბრი ფრენბურთში, გიმნაზიის მოსწავლეებმა მეორე ადგილი დაიკავეს და დაიმსახურეს ფულადი ჯილდო, ხოლო გიმნაზიის პედაგოგებსა და მოსწავლეებს შორის ჩატარებულ ფრენბურთის შეჯიბრში გაიმარჯვეს გიმნაზიის მოსწავლეებმა.

მინდა გაგაცნოთ და წარმატება მივულოცო გიმნაზიის წარჩინებულ მოსწავლეებს: V კლ. — თამარ ქუშაშვილს და ანა კაზალიკაშვილს, VI კლ. — ლუკა მაისურაძეს და მარიამ სუჯაშვილს, VII კლ. — გიორგი ბუჩუკურს.

მრავალ ახალ წელს, ჩემო კარგებო. სიკეთე და სიხარული დაგებედოსთ.

ზეიმის ბოლოს დამსწრე საზოგადოებას ახალი წელი მიულოცა მეუფე იეგუდიელმა. დალოცა ყველა და წარმატებები უსურვა დამდეგ ახალ წელს.

ეთერი პაპიაშვილი

ახალგაზრდა მოხევე პოეტი

სოფელი ვანაცვალეთ ქალაქს

დარიალს მოსდგომია ღრუბელთა ჯარები,
ქვიაღმაც მოუყვება აღმართს,
ძოღა ნათელი იყო ჩემს მხარეში,
ახლა ცა გვიპირებს წარღვნას...
მხოლოდ გვემუქრება, ძალიან არ დაგვსჯის,
ცოდვებს მოგვიტევებს ალბათ,
მაგრამ გვემდურება, სალოცავი გვემდურება,
რომ აღარ ვუცხობთ ქადას...
ჩქარა დრო დადგება, როცა „მოხევე“
აღარ ერქმევა ამაყს,
რადგან დავივიწყეთ და არ მოვუარეთ,
სოფელი ვანაცვალეთ ქალაქს...

გივი ხუციშვილი

სტეფანწმინდის წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზია-პანსიონში აგრარული უნივერსიტეტიდან მოვიდა სამადლობელი წერილი, სადაც აღნიშნულია:

მადლობას გიხდით ისეთი ნიჭიერი და მიზანდასახული ახალგაზრდის აღზრდისთვის, როგორიც არის გაგა არაბული.

ტრადიციულად, წელსაც წარმატებულ აბიტურიენტთა არჩევანი საქართელოს აგრარული უნივერსიტეტი იყო. კონკურსის შედეგად, 496 საუკეთესო პირველკურსელი მივიღეთ. მათ შორის თქვენი სკოლის კურსდამთავრებულიცაა.

მაღალი კონკურსის მიუხედავად, გაგამ შეძლო და დასახულ მიზანს მიაღწია – მან წარმატებით ჩააბარა ერთიანი ეროვნული გამოცდები და აგრარული უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა, რაც თქვენი ფასდაუდებელი შრომის შედეგია. დიდი მადლობა ამისთვის. ასევე, გთხოვთ მადლობა გადასცეთ თითოეულ მასწავლებელს, რომელმაც წვლილი შეიტანა მის აზღრდაში. ჩვენ, ჩვენი მხრივ, ყველაფერს ვაკეთებთ, რათა გაგა თავისი საქმის პროფესიონალი გახდეს.

გილოცავთ თქვენი სკოლადამთარებულის წარმატებას და მზად ვართ, უნივერსიტეტის უკეთ გაცნობის მიზნით, თქვენს მოსწავლეებთან და თანამშრომლებთან ერთად, დიღმის საუნივერსიტეტო კამპუსში გიმასპინძლოთ! თუ გექნებათ ჩვენთან სტუმრობის სურვილი, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე: 322-200-901

კონკურსისათვის „გადავარჩინოთ ბუნება“

რედაქტორი მანონი გომიაშვილი	სარედაქციო კოლეგია: არქიმანდრიტი ნიკოლოზ ღლონტი, ციცინო ღუდუშაური, ნინო თურქიაშვილი, ნატო ფიკლაური, უჩა ხუციშვილი.	მის. სტეფანწმინდის წმ. ილია მართლის სახ. გიმნაზია- პანსიონი